INTERNATIONAL MONETARY FUND
EXTERNAL RELATIONS DEPARTMENT

პრეს რელიზი N 12/493
გამოქვეყნდეს დაუყოვნებლივ
2012 წლის 18 დეკემბერი

საერთაშორისო სავალუტო ფონდი
ქ. ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი,
აშშ, ინდექსი 20431

საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის განაცხადი

ამა წლის 27 ნოემბრიდან 12 დეკემბრამდე თბილისში იმყოფებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის (შემდგომში 'სსფ') მისია. მისიის მიზანი იყო სსფ-ს მიერ სარეზერვო დაფინანსებით და სარეზერვო დაკრედიტების მექანიზმებით მხარდაჭერილი ქვეყნის ეკონომიკური პროგრამის პირველი მიმოხილვა. აღნიშნული პროგრამა 2012 წლის 11 აპრილს დამტკიცდა (იხილეთ პრეს რელიზი N12/131), იგი 24 თვე გრძელდება და საქართველოსთვის 250.0 მილიონი სპეციალური სესხების უფლების ერთეულის (SDR-ის) (დაახლოებით 390 მილიონი აშშ დოლარის) გამოყოფას ითვალისწინებს. თანხა პროპორციულად განაწილდება დაფინანსების ორ მექანიზმს შორის (სარეზერვო დაფინანსებასა (SBA) და სარეზერვო დაკრედიტების მექანიზმებს შორის (SCF).)

2012 წლის 18 დეკემბერს საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელმა მარკ გრიფიტსმა შემდეგი განაცხადი გააკეთა:

„ვიზიტის განმავლობაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ და ქვეყნის ხელისუფლებამ მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია მოლაპარაკებაში.

ჩვენ მჭიდროდ ვითანამშრომლეთ ქვეყნის ახალ მთავრობასთან და განვიხილეთ თუ როგორ შეუძლია სსფ-ს პროგრამას ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკურ და ფინანსურ პოლიტიკას. ხელისუფლებამ გამოხატა მზაობა გაიზიაროს ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროგრამის ძირითადი მიზნები: გაამყაროს ქვეყნის საგარეო ფაქტორებისადმი მედეგობა საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებით, ასევე საბიუჯეტო დეფიციტის კლებით, რათა გაუმჯობესდეს ბაზარის რწმენა და უზრუნველყოფილი იქნეს კერძო სექტორის აქტივობით განპირობებული მდგრადი ეკონომიკური ზრდა.

ქვეყნის მაკროეკონომიკური ვითარება მიმდინარე წელს ზოგადად დადებითია. ეკონომიკური ზრდა ძლიერია, ამასთან ინფლაცია მკვეთრად შემცირდა. ბოლოხანს ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელების შესაძლო ნიშნების მიუხედავად, ქვეყნის ეკონომიკის ზრდა 2012 წელს მოსალოდნელია 7%-ის ფარგლებში. ხსენებული ზრდის ტემპის კლება განპირობებულია ქვეყნის სავაჭრო პარტნიორების ზრდის ტემპის კლებით, ასევე უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გარკვეული შენელებითა და არჩევნებისა და პოლიტიკური ხელისუფლების გადაცემით გამოწვეული გაურკვევლობებით.

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა შეესაბამება სსფ-ს სარეზერვო დაფინანსებისა და დაკრედიტების მექანიზმებით მხარდაჭერილი პროგრამის პარამეტრებს. 2012 წლის ივნისის ბოლოსთვის

განსაზღვრული პროგრამის ინდიკატორები და ყველა სტრუქტურული ამოცანა დაკმაყოფილებულია. ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა შესაბამისობაშია 2012 წლის დეკემბრის ბოლოსთვის დათქმულ ინდიკატორებთან. ფისკალური კონსოლიდაცია შეთანხმებული ტემპით ხორციელდება: 2012 წლის ფისკალური დეფიციტი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 3.5 პროცენტამდე შემცირდება, თუმცა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი პროგნოზირებულზე მაღალია.

მისიის პროგნოზით მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 2013 წლისთვის შეიძლება 6 პროცენტს მიაღწიოს. ეს პროგნოზი შეიძლება ორმხრივად შეიცვალოს. ერთის მხრივ, ზრდის მიმართულებით, ეს არის: რუსეთთან ვაჭრობის გაზრდის ალბათობა და უცხოური ინვესტიციების ახალ წყაროების მოძიება; ხოლო მეორეს მხრივ, თუ არსებული გაურკვევლობები გაგრძელდება ან ქვეყნის სავაჭრო პარტნიორების მხრიდან მოთხოვნა შემცირდება საქართველოს ეკონომიკური ზრდა შეიძლება შენელდეს. საჭიროა ძლიერი შიდა პოლიტიკა და კომუნიკაცია, ნდობის ზრდისა და ბაზრის მონაწილეთა დასარწმუნებლად რომ საქართველოს ახალი მთავრობა იღებს ვალდებულებას წინდახედული მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაზე და ბიზნეს გარემოს შემდგომ გაუმჯობესებაზე.

ინფლაცია ძალიან დაბალი იყო 2012 წელს, რაც განპირობებული იყო ლარის ადრინდელი ნომინალური გამყარებით ქვეყნის ძირითადი სავაჭრო პარტნიორების ვალუტათა მიმართ და გასულ 12 თვეში სურსათზე ფასების კლებით. ამ დროებითი ფაქტორების გავლენის გაქრობის შემდეგ მისიის პროგნოზით ინფლაცია გაიზრდება ნოემბერში არსებული წლიური –0.5 პროცენტიდან წლიურ 4 პროცენტამდე 2013 წლის ბოლოსთვის, ხოლო შემდგომ, ეტაპობრივად, საქართველოს ეროვნული ბანკის საშუალოვადიანი ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს მიუახლოვდება. მისიას მიაჩნია, რომ არსებული ფულად–საკრედიტო პოლიტიკა, მათ შორის ოფიციალური საპროცენტო განაკვეთების ბოლოდროინდელი შემცირება, მთლიანობაში ჯეროვანია და შეესაბამება ინფლაციის პროგნოზირებულ ზრდას.

2013 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი სოციალურად ორიენტირებულია, თუმცა ამავე დროს პრუდენციულია. გაზრდილია სოციალური ხარჯები მოსახლეობის ყველაზე შეჭირვებული ფენების დასაცავად, ამასთან ფისკალური კონსოლიდაციის მიმართულებიდან გადახვევა არ ხდება. 2013 წელს პროგნოზირებულია ფისკალური დეფიციტის კლება მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 2.8 პროცენტამდე. ეს წაახალისებს ქვეყნის საგარეო პოზიციის კორექტირებას და შექმნის კონტრ–ციკლური ფისკალური პოლიტიკის შესაძლებლობას. აღნიშნული შესაბამისობაშია ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების სტრატეგიასთან მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 1½ პროცენტამდე 2016 წლისთვის და საქართველოს მთავრობის ვალის შემცირების მტკიცე ტენდენციასთან მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდებით.

საქართველოს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მაღალი მაჩვენებელი წარმოქმნის სისუსტეებს და ამიტომ მისი შემცირება მთავარი მაკროეკონომიკური გამოწვევაა. ქვეყნის ხელისუფლება აპირებს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის კლება გააგრძელოს 2013 წელს და შემდგომ წლებშიც. ეს შესაძლებელი იქნება ფისკალური კონსოლიდაციის გზით, უფრო მოქნილი გაცვლითი კურსითა და სტრუქტურული რეფორმების განხორციელებით ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებლად. ხსენებულის შედეგად მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის კლებაა პროგნოზირებული 2013 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 10.0 პროცენტამდე ამჟამად (2012 წელს) მოსალოდნელი 12.7 პროცენტიდან.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს გაცვლითი კურსის მეტი მოქნილობა, ფასების სტაბილურობასა და საერთაშორისო რეზერვების კომფორტულ დონეზე შენარჩუნებაზე ორიენტირებული ფულად–საკრედიტო პოლიტიკის კონტექსტში. ამ მიზნების მიღწევისა და ფინანსური სტაბილურობის გაგრძელების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია მთავრობამ უზრუნველყოს და პატივი სცეს საქართველოს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობას.

დაბოლოს, მისიას სურს მადლობა გადაუხადოს ქვეყნის მთავრობას, ეროვნულ ბანკსა და მრავალ ადამიანს, რომელთაც ვიზიტის განმავლობაში შეხვედნენ. მადლობას მოგახსენებთ ღია და კონსტრუქციული საუბრისთვის და სულგრძელი მასპინძლობისთვის. მისია სულმოუთმენლად ელის ქვეყნის ხელისუფლებასთან განზრახულობის წერილზე მუშაობის დასრულებას, რაც შესაძლებელს გახდის პროგრამის მიმოხილვის დასრულებას 2013 წლის დასაწყისში.“